ᲠᲔ 641

1923 წ. 2 დეკემბერი

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲡᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲦᲘᲠᲘ 8 ᲙᲐᲠᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲩᲘᲠᲝᲚᲘᲜᲘ

№ 1 ᲒᲐᲖ. „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ-ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲝᲠᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ № 1

ᲐᲙᲝᲠ ᲐᲙᲝᲠᲘᲐᲜᲘ

(მისი 30 წლის მოღვაწეობის გამო)

შესრულდა ოცდაათი წელი მას შემდეგ რაც პროლეტარული პოეტი ამბ. აკორ აკორიანი გამოვიდა საბჭოთა ასპარეზზე.

ნაციონალისტურ ლიტერატურაში დღესაც ბატონობს ასეთი აზრი: ვითომ პოეტი უთუოდ უნდა იყოს საბჭოელის და ეროტიული სიყვარულის მომღერალი. ა. აკოპიანი შორს არის ასეთ აზრისგან. ის უმღერის ქალაქს, ქარხნებს და ბრძოლისთვის მოწყობდებს პროლეტარიატს. „აკორ აკოპიანი სომეხთაგან ის მგოსანია, რომელმაც პირველმა უმღერა მუშათა კლასიურ პრობლას. ძველ იდეალიურ-ნაციონალისტურ პოეზიის ნაცვლად ქარხნისა და ქალაქის ჰიმნი შექმნა სომხურ ენაზე.

ქარხნის ჩარხების ხმაურობით და მშრომელთა შელაკვის დიდებით მან შესმინა მუშას თუ რა ტკბილი რამეა შრომა მაშინ, თუ მუშა შეიქნება ქვეყნის პატრონი, მოხდება რევოლიუცია და პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდება.

ამისთვის იყო, რომ „მთების და წყაროების მომღერალ“ წმინდ ბუნებაზეულ, პოეზინისტურ ელემენტებს ეჯიერებოდათ ქარხნის და რევოლიუციის მომღერალი ა. აკოპიანი.

თუ ა. აკოპიანი დღემდე გარეგნულად დარჩენილა იგი, „სამეგიერთო“ დღეს პროლეტარიატის გამარჯვების დროს, აკოპიანის ყველის ბეკეს ატარებენ დღეგანდელი სომეხის პოეტებიდან ბევრნი, ამას ყველა ჭეშმარიტ, ამას ვერავინ უარჰყოფს დღეს.

პროვინციის ერთ-ერთ ყუთხეში, განჯაში დიდი ნიეთიერი გასაჭირი განუცდია მას. სცხოვრობდა იგი. როგორც პროლეტარი დ ბრძოლობდა საყვარელ ლიტერატურულ ასპარეზზე.

თავის თავზე ეგანიცადა მან მის მიერვე აღწერილი ქარხნის ცხოვრება და მისი ჯოჯოხეთური პირობები. თავითონ ეს აკოპიანი გახლდათ ერთი იმ თანამეზრძოლი „ᲞᲝᲜᲗᲐᲗᲐᲒᲜᲘᲗ“, რომელიც ნაკის და ბანკის კაპიტალის სიმძიმის ქვეშ ოფლში იწურებოდა, რომ მან „ᲑᲐᲢᲝᲜ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲗ“ განტრომით ეცხოვრა. ქარხნის

ᲐᲙᲝᲠ ᲐᲙᲝᲠᲘᲐᲜᲘ

ᲐᲙᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡ

დღეს
შენს
სახეს
ირთმევს,
ახევს,
სვევდას
ფულეთს
მზე
და სხივებს,
ფურქვევს...
და შენს ენარხეს,
შრომის ჰანგზე,
ბრძოლის ხმაზე
ეღერს სინაზე,
სილამაზე
მომავალის.
და ხომ გეგმის?
ოკეანეურს ჩვენ ის,
ვინც ჩვენთვის ჭკნნის
ვინც ჩვენთვის თხზავს
პოეზიას
სიყვარულის
სიხარულის.
სალამი მას
მის ბრძოლის ენარს,
პროლეტ მგოსანს
აკოპიანს!

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲔᲗᲔᲚᲘ.

ცხოვრება მას წინ ეძლოდა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე და ფრთებს ეს ამდა მას პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის.

ა. აკოპიანის 30 წლის მოღვაწეობის სახელობი დღეს, ჩვენ არ შეგვიძლია არ დავსძინოთ, რომ ის იყო არა მარტო პროლეტარიატის ბრძოლის მგოსანი, არამედ რევოლიუციის აქტიური მებრძოლიც

მან რევოლიუციონერი სიტყვა შეუთანხა რევოლიუციონერ საქმეს, ეს შეიტანა თავის ლექსებში და ამნაირად ლიტერატურული საქმე შეუერთა ბრძოლას.

ეროტანი არიან ამისთანა პირები და ერთი „ᲐᲛ ᲨᲣᲥᲘᲠᲗᲔᲒᲜᲘᲗ“ არის მგოსანი აკოპ აკოპიანი

Ხ. ᲮᲐᲜᲗᲝᲘᲐᲜᲘ.

მუშა-მწერლის თავგადასავალი

დიდებულმა შოთა რუსთაველმა სთქვა:

„ჩემი ჩემებრ ორივ ეწყოს რა
მაწუხებს, რა მამტკივებს“-ო.....

მართალია. ჩემსავით სხვას არ ეკოდინება, „რაც მაწუხებს“. ვისაც მწარე ოფლი არ დაუღვრია, ის ვერც დაიფასებს მუშის „გარეჯულ მაგარ კანს“. ყველანი წარმოვადგენთ თითო წიგნს. ამიტომ მინდა ჩემი ცხოვრება თვით მე ავწერო. ვეცდები სინამდვილე არ დავარღვიო.

I

მამაჩემი „ენიაზ“ გეგენიის ემსახურებოდა. რომ იტყვიან: „მამალი მგლისაც არ ეშინოდა“, მაგრამ ბატონთან კი ოთხ ადლზე ახლო ვერ დადგებოდა. სიღარიბით მოელ სოფელში ბევრს არ ჩამოვრჩებოდით. აღდგომა დღეს ხშირად ლობით გვენატრებოდა.

დედაჩემი ფეხზე მოსიარულე არ მახსოვს თხუთმეტი წელიწადი ლოგინში იწვა. შვილოსნობაზე გაცივებულიყო და მოუვლელობით მუხლება ჰქონდა დახეთული. ცრუმორწმუნეები დედაჩემის ავადმყოფობას „მიზეზს“ აბრალებდნენ. ჩვენს გვარში ვიღაცას „ზედაშეები“ გაეყოდა. მკითხავს ეთქვა: „თელეთი გირისხდებათო“. მას შემდეგ ფრიხილი, რომ წარმოსტკივდებოდათ „ხატში“ გარბოდნენ.

ერთხელ მე რომ სამი თვისა ვყოფილვარ, მამაჩემსა და ბიძაჩემს შეუბამთ ურემი, ჩაულაგებიათ ლოგინი, სანოვაგე და წასულან „შვანაბადში“ სალოცავად.

ხიდი შორს ყოფილა. ხატის იმედით გამსქვალულებს გადაუწყვეტიათ ფონზე გასვლა.

შესულან თუ არა მტკვარში, კამეჩები მაშინვე ჩაღუბულან. ურემი აუტიტივებია წყალს.

მამაჩემი კოჟაზე მჯდარა. სხვები ჭალებს მაგრა მოსჭიდებიან.

—ვაიმე, ჩემი გიგო!—უწივლია დედაჩემს და წყლი დან ამოუტაცნივარ ურემში.

ამ დროს მამაჩემს წყალში ჩამალულ კამეჩისათვის მოუკრავს თვალი გამწარებულის უკან გამოსაბრუნებლად ისე მაგრა შემოუკრავს სახრე, რომ რქა მოუტეხია კამეჩი დარეტიანებულა, დატრიალებულა და ნაპირზე გამოუთრევია ურემი. მხოლოდ ზედ აღარა ყოფილა არც მაფარაში და არც ხერჯიანი.

უქმი მგზავრობისათვის აღებული ვალი მთელი ორი წელიწადი აწვათ თურმე კისერზე.

საწყალ დედაჩემს უთოოდ ძალიან უხარია შვილის გადარჩენა მაგრამ მადლობას ვუთვალ განა?

II

რვა თვისას ამიდგამს ფეხი. წლისას შემძღეზია მეზობლებთან მისვლა, ექვსი წლისა კი უკვე სახლისთვის ენდა მომეკალო. ათ შვილში სამნი-ღა ვიყავით: ერთი მე და ორი ქალი. ჩემი დები ორ-ორი წლით უფრო ახალგაზდები იყვნენ ჩემზე. უფროსს მაშინ ერქვა, უნცროსს—ანიჩკა. მაშინ სუსტი იყო, ხშირად გამოცვლა სჭირდებოდა. ჩვენი სახლის ახლო ჩამოდგომია ბატარა ხეკი. ● ჩამოსულნდა ჩვენები დაკვეკ ყოფდი.

ერთ დღეს ხეკში სარეკები მიდგა. გაღმიდან ბიჭები ამიტყდნენ. დამკინოდნენ. კენჭებს მესროდნენ. ჩვენები იღლიაში დაეიჭირე და ერთი ბატარა ქვაც მეც გავისროლე. კარგად დავინახე, რომ ჩემი გასროლილი ქვახეკის მეორე ნაპირს არ გადასცილებია.

დავბრუნდი სახლში.

ცოტა ხანს უკან მამაჩემი მოვიდა ბატონის ბაღიდან. ხელსახოცით კიტრები მოიტანა.

შემოსვლისთანავე თავში წამომკრა:

—ეგ-ღა მაკლია, რომ შენ სხვის სახლის შუმები ამტეხიო და მე მაზღვევინონო.

მე კარში გავაღი რომ, შუშა სხვას გაეტეხა და ჩემთვის დაებრალებინათ.

მესმოდა კიტრის ხრამა-ხრეში, კაწკაწი მომდიოდა, მაგრამ შინ შესვლას ვერა ვბედავდი.

—შავ ბირს შეეფანამ მე იმასა!—გავიგონე კიდევ მამაჩემის სიტყვები. ეტყობოდა დედაჩემი ეხვეწებოდა ბატიებას. კარგად იცოდა, რომ მე ხანა-ზუბა საკმელები ძალიანმიყვარდა. ჩუმად სადილის შემდეგ მამაჩემი ისევ წავიდა.

მე შშიერი შევედი სახლში.

მაშო ჯერ კიდევ ახრამენებდა. კიტრსა.

—მე კი არ მინდა?—დავიწყე ფშრუკენი.

—მე მოგაცემ შვილო.—მითხრა დედაჩემმა და ნაალის ქვეშიდან გამოიღო, კიტრი რომელიც ჩუმად შეენახა ჩემთვის.—აბა, შვილო, შუშა რომ გაგიტეხია, იმაში მამაშენს სამი შაური გადაახდევინეს. სამი შაურის ნაცვი კი ძალიან გვიჭირს. შუშას რომ არ მოხვედროდა და ბავშს ვისმე მოხვედროდა, მაშინ ხომ უფრო დიდი უბედურება დაგვატყდებოდა!

დედისთანა თბილი სიტყვა განა სხვას შეეძლო ეთქვა ჩემთვის? გადავწყვიტე კვლავ უბარალოდ აღარ გამესროლა ქვა..

III

ზამორობით ჩვენი სიღარიბე ერთი-ორად მატულობდა. ნავთის ფული ყოველთვის გვენატრებოდა.

არ ვიცი, როგორ მოიღაპარაკეს დედაჩემმა და მამაჩემმა, რომ იმ თოვლ-ყინულიან დარში ბატონიანთსა გამგზავნეს.

ბატონიანი იდგნენ „გარიყულაზე“, ჩვენი სახლიდან ერთი ვერსის მოშორებით. როგორც იყო ხეე-ხეე ავიარე და შევეკარე ძალლებს.

—ოჰ, ბატარა სტუმარი! ბატარა სტუმარი!—მომეხვია მთელი „დიდკაცობა“.—აბა, ლექსები გვითხარი! ლექსები გეკოდნინა!...

წაკვალილი:

ფაფი შეეკენ ტაფაშია,
თვალი მჭონდა ყლაპაშია!
გამოვიდა უფალი,
ცხვარი დაკლა მსტქანი:
ვაპინა თმა,
ვამოიბა რქა,
ესროლა ქვა,
მოსტეხა რქა!..

ამგვარ წრეგადასული ლექსებს მოსდევდა სიცილ-ხარხარი ბედნიერი ხალხისა, -ახ, სადა ხარ ბატარაობავ! შემდეგში ვინ მაღირსებდა ამ სითამამეს!...

მეორე დღეს ნაჩუქარი ფულით ნავთი და საპონი მიმქონდა შინ.

IV

ეზოში ერთი ლამაზი ნერგის ხე გვედგა. ფოთლები გამოაჩნდა. ზედ ათასობით ჩიტუნები შეშსხდარიყვნენ და მბიარული ერიიმუღლით აკოცხლებდნენ კარმიდამოს.

გარედ რაღასაც ვეჩიჩვაფერაობდი. ამ დროს დივინახე თალალაანთ კოტე. ის ცოტათი უფროსია ჩემზე. მოვიდა. ხელში ბატარა დანა ეჭირა.

—აი, მე კამარი მაქვს!—მაჩვენა ნერგის ქერქი, რომელიც წელზე შემოხვეული ჰქონდა.

—ვინ მოგცა?—ვკითხე.

—მე გავაკეთე. გინდა შენც გაგიკეთო?

—აბა!

კოტემ ჩვენ ნერგს ააძრო ქერქი და შემოგაკრა.

—მოდი, შოლტიც გავაკეთოთ.

—მოდი!

ბატარა ხანს უკან ორივეს შოლტებიც გვეჭირა ხელში.

შემდეგ გამოვეკერით შვილდ-ისრები. ბევრჯერ დავუმიზნეთ ჩიტუნებს. მაგრამ მოკაკელ ჯოხზე გადაბმული ნერგის ქერქი ლარად ვერ გამოვეკენეთ.

რამდენიმე თვის შემდეგ ის ჩვენი ეზოს დამშვენებული ხე უსულო ჩონჩხივით საცოდავად გაჭყურებდა თალალაანთ კარზე ასეთივე გამმპარ ნერგს.

V

დადგა ისევ ზამთარი. ხეები თოვლით დაიბურნდნა. ბავშვები სახლებში მოვიმწყვდიეთ.

ერთ დილით კოტემ კარები შემოაღო და გაბარებული შემოვიდა.

—აი, მე ძიამ რა გამიკეთა!—დიდი ამბით მიჩვენა კაკანაფზე სამიდის მარცვალს მოვაბამთ. მერე ლარს ამ ჩხირში ჩაეუყრით. ესე გადაეერეხამ და დაედგამთ ძირს. ქვეშაც ხორბლის მარცვლებს დაეყრით. როცა ბეღურა ჩიტი ასე კენკავდ მოეორნდება, სიმინდის მარცვალი უფრო მოეწონება... ჩაჰკრავს ნისარატს.—„ჩაკ“!.—ზე ვით რკალი ქვევით რკალზე დაეკმა და ყელში ეჭიერება...

—მერე, სად უნდა დავუდგათ?—ცნობის მოყვარეობით შეეკითხე და თან გაკვირებულ ეეყურებდი. სრულიად გადამავიწყდა რომ სიცივისგან ბობუზულ ჩიორეებს კარგს არას ვეკეთებდით.

—საბძლის კარებთან,—ოსტატურად მიპასუხა კოტემ.

— ბარცელები რომ არა გვაქვს!

- ძალუანთ საქათმეში შევიპაროთ და იქ ქილაში იჩნება... ჩუმად წამოსტაცოს ყურში...

ოთახიდან შეუჯაზვიად გავედით. საქათმის კარები ფრთხილად შევაღეთ. დამწყდეფულ ფრთოსნებს არ ესიამოვნთ ჩვენი სტუმრობა. ალბათ შეგვატეკეს, რაც შვილები ეიყვეთ. ალიაქოთი ასტეხეს: ბატებმა სისინი დაიწყეს, ინდოურებმა „ყიო ყიო“ მორთეს, ქათმებმა ფრთხიალი გამართეს.

კოტემ მუყაითად შეუდგა ძეხვის სიმინდისა და ხორბლის ქილა არსადა ჩანდა. ინდოურები ადვილად დავიჭირეთ. დავითითოვედ. ხან კოტე ჩაკკავდა თავის ინდოურის ნისკარტით ჩემი ინდოურის თავს, ხან მე ჩაეკრავედი, ასე გვეგონა კარგ საქმეს ვეკეთებდით. როცა დავღალეთ, თავი დავგნებეთ. ახლა ბატებს ვეწვეთ. მაგრამ მამალმა ბატმა კისერი ისეთნაირად დაგრძელა და დაგეგისინინა, რომ ახლო ვერ მივეკარეთ. ბოლოს ქათმებს მივმართეთ. ვერ დავიჭირეთ ქანდარიდან. ქანდარაზე ხტებოდნენ. საქათმე მტვერით დაანშელეს. დეინაში საბუდარს წავაწყდით. შიგ ქოჩორა დედალი შიშით განაბულიყო.

— შენ კი ჩაგიგდებ ხელში!—შესძახა კოტემ და ამოაძარცა.—ბიჭოს! ოთხი კვერცხი! აბა, მოდი, ნახე! ჩაეიხედე. მართლა ოთხი კვერცხი იყო საბუდარში.

— ამას უთუოდ კიდევ ეკნება დასადები კვერცხი... მოდი, დავადებინოთ?—მოიიზარა უცემ.—ოთხი კვერცხი ხომ საბუდარშია? ეროიც რომ ამას დავადებინოთ, ხუთი კვერცხი ფიდეა მეწურომალეს მივუტანოთ და თოფს მოგვცემს, ჰატარა ტყვიის თოფსა! კარგი? ფანჯარაში ულაგია! ლამაზათ შეღებილები! თითოს შაერად ჭიდის და ხუთ კვერცხს შაერად იღებს.

— მოდი!—სიხარულით დაეეთანხმე.

კოტემ ქოჩორა დედალი გულაღმა დაიწვინა. მე ნისკარტზე ხელი მომაჭერინა. თითონ მეცელს მძიმე-მძიმედ უზილავდა.

ცოტა ხანს უკან ქათამს კინწი მოსწყდა. საბრალოს ქუჩი გახეთქოდა.

VI

ერთი საღამოს კოტემ ცალკე გამიხმო! რა მაჩვენა! ტყვიის თოფს რომ ეძახდა, ის მთლიდ სატაცურებული იყო.

— გატენილია! —მითხრა ამაყად.

— სად იშოვნე?—ეკითხე გაკვირვებულმა.

— მე გავაკეთე!

— თოფის წამალი ვინღა მოგცა? ჰა, კოტე?

— ალექსა მეცხვარეს შევეხვეწე: არ მომცა. მერე ჩუმად ქისიდან მოვპარე.

— ხელში დამაჭერინე! შენი ჭირიმე! რა არი!

— არ იქნება გაკარდება და თვალებს გამოგთხრის.. შევშინდი. უკან დავიწიე.

— წავიდეთ, ეენაბში გავისროლოთ! —მითხრა კოტემ რას არ გავკვეთოდი!

შევედით ოსეფის ენაბში. ერთი დიდი ო

პირველად „ენიაზ“ იასონს შიაორეი მერე „ენიაზ“ იორაპს, შემდეგ „ენიაზ“ ლეგანს და სხვებს.

საღამოზე წვეულება გვაქვს.

მეწყინა. ამისთანა ამბები ხშირი იყო იმათ სახლში ძველი-ძველეზე მოდიოდა გლეხებისაგან. „ტუის ბიკეები“ შეშის ზიდვას ვერ ასცდიოდნენ. მიიღი კეირის განმავლობაში მხოლოდ ფეხზე დგომით უნდა მოგვეტყუილებინა თვალი.

IX

სეროვილმა თავისი არ დაიმალა. შეეეკიდე „ეეფუხეის-ტყაოსანის“ გაფლენით და იმავე მარცლებით წერას. თექსმეტი წლისა ვიყავი, როდესაც პირველი ნაწილი გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან ორასოცდაათ-გვერდიანი პოემა დაწერილი მქონდა.

მე რომ მაშინ თანამედროვე ლიტერატურას გავცნობოდი, უთუოდ სხვა სახეს მიიღებდა ჩემი მწერლობა. ილიანი, აკაკანი და ყაზბეგის სახელი ცოლიანი ვიყავი, როცა გავიგე. თვით ეგნატე ნინოშვილის ნაწერები ჩემდა სამწუხაროდ ახლაც არა მაქვს ყველა წაკითხული, რაც დიდ დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს. კოტიკა. არ ვიცოდი რა იყო. ასე მეგონა, რაც უფრო დიდი თხზუ ლება დაიწერებოდა, მით მეტი ღირსება ეენებოდა. ხან ლექსებს მიგწედი, ხან პიესებს, ხან „მოთხრობებს და არც ერთი არ გამოვიდა დამეშვებული.

ვწერდი, სადაც მომიხვდებოდა, თითქმის ყველა ჩემი ნაწერების ერთი კუპლეტი ტაბურეტკაზეა დაწერილი, მეორე—დუქნის დარაბაზე, მესამე—დაზგაზე.

ეხლა, როცა ჩემ ნაწერებს ეკითხულობ, მეხუთე და მეექვსე კუპლეტებში ხშირად მხვდება მეორე და მესამე კუპლეტებში უკვე შეტანილი ახრი, მინდა დაეთოსხო“ მაგრამ ნათქვამია: „ალმით დაწერილი ცულითაც ვეღარ ამოიღებაო“.

ეურჩევ ყველა მწერალს: პატარა დაწეროს და მარტივი, ვიდრე დიდი და თავის მოსაბეზრელი.

X

ბაგენოთან ვიმსახურე თოთხმეტ წლამდის.

ახალქალაქი და ახალქალაქის ნაწილი—გარიყული. მეტი ბრა მენახა რა, გარდა გორისა, სადაც ბატონები ხამთრობით დაიარებოდნენ ბეგთამაგვეების სახლში ცოლეულანთსა. იქ მე მტკვრიდან წყალს მაზიდვინებდნენ, რადგანაც ბატონის ქალს ეკმისგან აკრძალული ჰქონდა ჭის წყალი და მდინარის უნდა ესვა. ეხლაც, როცა მომაგონდება ხოლმე ყინულის ჩატება და იქიდან კოკურის ავსების დროს თოთის წვერების დაწვა, ცრილი მიეღლტანში.

ამ წვრილმანებით არ მინდა მკითხველის ყური შევაწუხო. მხოლოდ ვიტყვი, რომ მე ავადი ამ გარეგნილებას, რასაც გალაღებულ ფეოდალურ ოჯახში წამეყენებენ წაეყენებდიო ხოლმე. ამ სიმტკიცით მარად ვიამაყებ.

XI

ეველარ მოვთავსდი.

ერთ დილით გზაზე გამვლელი ჩალეადრები დაეინახე გოდრებით ჭრაში მიჰქონდათ.

— სად მიდიხართ? —ეკითხე.

— მანგლისში.

— მეც წამოგყვებით.

— შენი ფეხები ჩვენ არ დაგვამძიმებს.

საღამო იყო, როცა ფარნებით გაჩაღებული მანგლისი გამოჩნდა. ვნახოთ ბეღი სად მიმიყვანს. ფირალოვის დუქანში ბიჭი იყო საჭირო. ვემსახურებოდი დუქანშიც. სახლშიც.

ერთხელ ერთი ნაცნობი ეწვიათ.

— ოო, ვასილ ივანინს გაუმარჯოს! —მიეგება ფირალოვი.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, ძვირფასო მეგობარო!

— გზა ხომ არ აგერიათ?

— ქალაქში ვეპირობ წასვლას.

— ხელს რა გიშლის?

— მარუსა მარტო არ მინდა დაეტოვო.

— ბიჭი წაიყვანე.

— მეც ბაგიტომ მოვედი.

ჯოხი ჩემზე გატყდა:

ვასილ ივანიჩის ბინა გართეთ მანგლისში იყო მეზობა- ლებზე კარგა დამორგებული.

შუალამისას მარუსას მუცელი ასტკივდა. თურმე ეადა უსრულებოდა.

დავეპირე ბებიის მოსაყვანად წასვლა.

ქალი კარებში ჩადგა:

— არ წახვიდე!

— მაშ ვინ გიშველის?

— რაც მომივა, მომივა... მეშინიან მარტო დარჩენისა.

— მალე დავბრუნდები.

— ბნელი ღამეა, გზა დამეკარგება... მინამ მოხვალთ მე კიდეც მოვკვდები.... მეხვეწებოდა გამოუცდელი ქალი. კარებიდან გასაკეები გამოიღო და ლოგინის ქეშე დამალა.

დავრჩით დამწყვდეულები.

გარეთ ქარი გრიალებდა—შიგნით ადამიანი იკლაკნებოდა.

ჩემ ხელში იწვა ანგელოზი, რომელიც შემდეგში ვინ იცის ეენებად გადაიქცა ცხოვრების უკუღმართობით.

მოჯამაგირობაში თურმე შეიძლება ბებიობაც შეხვდეს კაცს!

XII

ფირალოვი სწუხდა შთამომავლობაზე.

თორმეტი წლის ცოლქმარს შეილ არ „გასჩენოდათ.

მე ვემსახურე მათთან სამი წლის განმავლობაში.

დასწყევლოს ჩემი ფეხი! სწორედ ჩემი იქ ყოფნის დროს შეეძინათ ქალ-ვაჟი!

ბეღნიერ ოჯახის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მაგმამ...

— ვისგან უნდა იყოს, ეაცო?! —წასნულოლია ნათლობაში სტუმარმა სტუმარს.

— მიკვირს, ღმერთმანის...

— ქალო, ამა უყურე ბიჭსა! თვალები და ცხვირი სულ ბაეშს მიუგავს!..

— კიდეც ამიტომ არ ეშორებდა გვერდიდან!..

— მაშას თავისი ჰგონია...

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!... გადიხარხარა მანდელოსანმა და პორმარილის დასაფასებლად გადმოიხარა სუქანი ორაგულის ნაჭერი თეფშზე.

ამ ჭორების შემდეგ იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა.

უკვე ჩეიდეტი წლისა გავხდი.

დავბარეენი ისევ ბშობლებთან.

სოფელში უმამეულონი ვიყავით. ტუილისი ოცილეულად უნდა მენახა. რაც მანგლისიდან გროშები გადმომყვა შემომეხარჯა. „ბნის ფული ალარა მქონდა. ერთ დილით გამოვემშეიდობე ავადმყოფ დედას, მამას, დებს, ჩავედი მტკვრის პირას, შევუხტი მტიროვეებს და გავყევი ქალაქში.

XIII

ტიეიდან გადავხტი დიდუბის ახლო.

დაღამდა.

ქალაქის გზა არ ვიცოდი. არც ნაცნობი ვინმე მეგულებოდა.

სადგურის გზა ვიკითხე.

ბნელაში ერთმა მოხელემ გამაჩერა.

— ვინა ხარ ბიჭო, შენ?

— გიგო ვარ.

— ვინ გიგო?

— ხეჩუაშვილი.

— სადა სცხოვრობ?

— იქ... იქ...

— გასწი წინ!

მე მინც „წინსვლა“ მენატრებოდა.

ქეჩაში ვიღაც ნაცნობი შეხვდა:

— საით?

„უჩასტკაში“.

ჩემი საქმე რა მდგომარეობაშია?

— ფულზეა დამოკიდებული.

— ფული რამდენიც გინდათ...

ეუცმ ეოისმა ცხენების თქარა-თქარი ასტყდა „სეისტოკეების“ ქუილი.

— დაიჭით! .. დაიჭით!...

ჩემი მასპინძელი მოხელე სადღაც გაქრა.

ხათაბალა ხალხი ყოფილა ქალაქში!

XIV

როგორც იყო მივაღწიე სადგურს. ერთი კუთხეიდან რომ გამაგდებდნენ, რეერე კუთხეში გადავდიოდი, მეორედან—მესამეში. ამ მდგომარეობაში გავათენე.

სოფლიდან წამოღებული პური ძალლმა მომტაცა. შიმშილმა შემაწუხა.

— არ მოდიხარ? ჭკითხა ერთმა მეორეს

— სადა?

„სადა“ კი არა „ჭრილი“! ეაგონებია დაბაცელი.

— მოვდივარ.

მეც შეუერნაეად გავყევი.

დიდუბის თავზე შეშით დატვირთული ვაგონები მეშა-ხელს უცდიდნენ.

— შენ ვის ეძებ, ბიჭო? —მკითხა ერთმა მოიჯარადრემ.

— სამეშაო მინდა.

— თითო ეაგონის დაცლაში ხუთი შაურია გადაწყვეტილი. ვეძგერე. დავცალე ერთი ვაგონი. მეორე დღეს—ორი, მესამე დღეს—სამი.

შემდეგ ოთხ ვაგონს მოვერეე. შეშა გაუზი-

დაეი დარბ და ღამე ყარაულობაშიაც ათი შაური ავიღე.

დღე-ღამის განმავლობაში მანათნიბეკარი ყარგი ფული იყო. მხოლოდ ყოველთვის არა ხდებოდა ასეთი შემთხვევა.

ბინა დავიდე ერთ დაცლილ შემის ვაგონში. ზაფხულის ღამეებში სიცივე ძალიან არ მაწუხებდა. მანგლისიდან წამოყოლილი „ტუტურკა“ იყო ჩემი სახურავი.

ერთხელ ოთხი ვაგონის დაცლის შემდეგ მაგრა დამეძინა. სიზმარში ავადმყოფ დედას ვესაუბრებოდი.

— „ტიკ-ტიკ-ტიკ! ტიკ-ტიკ-ტ“! — მომესმა ძილში რაღაც გაურკვეველი ხმა.

— „ტიკ-ტიკ-ტიკ-ტ-ტიკ-ტიკ“! — თანდათან მოუჭერა, ვეყოტი თვალები. გამოვერკვიე. წამოვხტი.

— ვაი, გადავიწყდეს და გადაჭეკ თანა! — მეკერარე გამწარებულმა.

— თფილისს შუქი ოდნავ და ჩანდა.

ღრმა ღელესთან ვიყავი მიახლოვებული.

დაცლილი შემები დილით უნდა ჩამებარებინა ჰატრონებისთვის. ფული ასაღები მქონდა. ტიკი მეორედ როდის და ჩამომიყვანდა ქალაქში?...

ვისკუბე და გადავსტი.

ნახევარ საათი ებობდავდი მიწაზე.

გათენებისას ძლივს მივაღწიე ბინაზე.

ძაან ქურდობა სცოდნია რკინის გზას!

XV

ორი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე მქონდა სამუშაო.

თბილისის ღრიანცელი შორიადან ჩესმოდა. სადგურს კი არ გავცილებოდი.

ერთ დასვენების დღეს მოვიწყალინე დამეელო ქალაქი თავიდან ბოლომდე.

გაგონილი მქონდა: კონკაზე თითო დაჯდომა შაური ღირსო ისიც გაგონილი მქონდა, ქალაქელები უცხო კაცს მასხარად აიგდებენო. ამიტომ თავი მცოდნესავით დავიჭირე, ობოლო კითხვით ორავის ვაწუხებდი.

შაურიანები ბლომად მოვამზადე და კონკაზე დავჯექი სადგურთან.

მეგონიშვილ ცხენების ფეხის ხმას ზარის წკარუნი აყოლა.

— „ბილეთ!“ „ბილეტ!“ — ჩამოიარა კონდუქტორმა.

მე შაურიანი მივაგენ.

— სად გინდათ?

— ჰირდაპირ.

— „წიკ-წიკ-წიკ! — წიკ-წიკ-წიკ“! — გაჩერდა ბარკთან.

ზოგი ამოვიდა, ზოგი გადავიდა.

გადმოვედი და მეორე მხრიდან ავედი.

— „წიკ-წიკ-წიკ! — წიკ-წიკ-წიკ“! — გაჩერდა მუშტაიდთან.

მეორე შაური მივაწოდე.

— „წიკ-წიკ-წიკ! — წიკ-წიკ-წიკ“! — გაჩერდა მიხეილის ბეღელზე.

მესამე შაური მივმრთვი.

ქარვასლამდინ შვიდი შაური გადავიხადე ეროი შაურის ადგილას,

ძნელი ყოფილა უცოდინრობა!

XVI

ქარვასლასთან ავიარეი. აღარ ვიცოდი, სად დავმჯდარიყავ, სადი წავსულიყავი ალაბამდინ. ბოლოს მიეანდე ბაზა-თავი. გავიარე სასახლის ქუჩა. თავისუფალ ალაგს ვათვალიერებდი. სადაც დღეს ოფიცარი იყო გაელებული. შეეტინზივად მოვეფარე.

„ჩტო ტი დელაშ“! — მოვესმა ზოხელის მკაცრი ხმა და მომხედა მუშტი თავში.

წავედი შერცხვენილი.

ვერის ჩასხვეეს რომ დავუახლოვდი, უფრო გამიკარეა.

შევუხტი კონკას და ნიტავი არ შევხტომოდი.

უადგილო-ალაგს მუცელი ამტკივდა....

დაილოცოს ბუნება! მტკვარი რომ არ გაეჩინა, ვერც ტივით ვიმგზავრებდი და ვერც ტანს დავიბანდი...

XVII

რამდენიმე თუმანი შემიგროვდა. ვიყიდე ახალი ხალათი. საჩუქრები: დედისთვის, მამისთვის, დებისთვის და ვეწვევე სოფელს.

თუ რა სიხარული დატრიალდებოდა სიღარიბით დაჩაგრულ ოჯახში — ეს თვით მკითხველმა წარმოიდგინოს.

დაკბრუნდი ისევ ქალაქში, მხოლოდ უკვე გამოცდილი.

მეფურგუნეებმა გამიყოლეს კონკეეიჩის შეშის საწყობში.

კონკეეიჩი შეშით ვაჭრობის გარდა, ეტლეესაც ამქაავებდა. მისთვის საჭირო იყო თაღლაში კაცი. ათი ცხენი ჩავიბარე. ხშირაო ოთხს ერთად გადავაბამდი, მეხუთეზე შეეჯდებოდი და ვაბანავებდი მტკვარში.

საჯინიბოში ჩემთვის ოთახი მოვაწყე. დაკისრებული საქმის შემდეგ მეჯინიბეებს ეტლებს ვიურეცხდი, შეშის დამწყობებს კუნძებს ვუურეცხდი. დავადექ შეძენის გზას. „გვერდზე გდება“ არ შემეძლო. ან უნდა მემღერა, ან უნდა მეჯავრა: „ეს ასე კარგია, ეს ასე არ ვარგა“!... სიცვარულით კი მაინც ყველს ვუყვარდი, თუმცა მოფსენარს მეძახდნენ.

ერთ დილით მეეტლეები გავაცილე. ეზოს კარებში მოულოდნელად ნაცნობმა თვალებმა შემომანათა:

— გიგო! აქ სადა გხედავ?!

ჩემ წინ იდგა თაღალაანი კოტე. ბავშვობის მეგობარი, რომელმაც ოსეფას თიეის ბუღალტერად დაუწვა, ჯოხორა დედალს ქუში გაუხეთქა.

აღტაკებულმა გადავეხვიე და ვაკოცე. „თურაე ქალაქში დაკარგული არა ეყოფილვარ... მიეიწვიე ოთახში. გავუშალე სული, გული იმ ღამესსტმთან ეძინა.

მეორე დღეს ოთახი დაცარიელებული დამხვდა. სად-და იყო ჩემ ქისაში ორიოდე შაური, დღედაღამე მუშაობით აღებული? დებისთვის ნაყიდი საკაბეები: ცხენების ავშარა-აღვირები? ... აქეთ ვეეკი, იქით ვეეკი: კოტე გაჭრა.

მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ მოკკარ თვალი ავლაბრის ხიდზე ორანი ეკიდა და ორთაჭალისკენ მიდიოდა მფსონებით.

საჭირო ყოფილა დიდი სიბრძნე ეთხლისა და ბოროტის გასარჩევად.

ერთხელ წვიმების შემდეგ წყალს ყალაპოტი შეეცვალა. ცხენები ეცვნ ჩაიღუნენ. ზურგიდან გადავეცოცდი და ძლივს მოვასწარი კუდში ხელის წაკვლება.

— წუფუ... ზუფუ... ზუფუ!... — მესმოდა წყლის სიღრმეში. ცოტა ხანიც და ვეღარას გავიგებდი...

ნაპირზე გამოსული ცხენების ფრუტუნი და ქაქანი ამტკიცებდა, რომ დიდი ბრძოლა გამიეკლო ტალღებთან.

ეზლა თითქმის ყარგად ვიცი, წყალში დახრობის დროს ადამიანი, როგორ ცხადათ ხედავს თავის გაფლილ ცხოვრებას.

XVIII

კონკეეიჩმა ყარგი თვალით შემხედა. თაღლაში ცხენების მოვლა შემიეცალა სახლში სამსახურზე. მის ოჯახში ნდობა მოვიპოვე. ყველა გასაღებები ჩემ ხელში იყო. ცოლ-ქმარს ხშირად უსაამოვნობა ჭქონდათ. ქმარი სახლიდან თვეობით გარბოდა. მე ვიყავი მძენელი და შემრიგებელი.

საამაღლებოთ ეკსკურსიაზე წავედით ოთხნი: კონკეეიჩის ორი გიმნაზიაში მოსწავლე ვაჟი და ერთიც მათი ნათესავი. ყველანი დაახლოებით ტოლები ვიყავით.

ტაბახმელიდან თელეთის მხარეს გადავედით. გზა დაგვეკარგა. დაავგიღამდა! წვიმამ დაგვალო. ერთგან ფარეხის ძალლებს გადავრჩით. შუადამე იჭენეთდა, ახლად გაკეთებულ, ყარსის რკინის გზის ხიდს მივადექით.

ხიდი ჯერ დაუმთავრებელი იყო. მოაჯირი არა ჭქონდა. წვიმისაგან დასველებული ორი ფიცარი იდო სიგრძეზე ქვეშ ონავარი მტკვარი თეთრად მოჩანდა.

— რა ექნათ? შეეკითხეთ ერთმანეთს.

— ჯერ მე ვეკი და თუ გაიელეა ნაპირიდან დაგიძახეთ. — ეურჩიე რადგან მათნი უფრო გამოცდილად ვითვლებოდი.

— ფრთხილად, ფეხი არ გადაგისხლტეს.

შეა ხიდამდინ რომ მოვედი, წინიდან ყარაულმა დაიყვირა:

— გზა არ არის ვინ მოეხეტეკინ მანდ?!

ამავე დროს უკანიდან მოისმა მატარებლის ჭაკეტინი და ჩემი ფეხსონების ძახილი:

— დაბრუნდი! დაბრუნდი! უშველე თავს!

არც წინ, არც უკან.

ვისკუბე და ჩავეშვი.

მატარებელმა რუხხოუხით გაიარა.

ყველაფერი მორჩა.

— დაიღუპა საწყალი!...

— რა ამბავი მივიტანოთ სახლში?!...

— საათ წავიდეთ?..

— ორთაჭალის კენ! — გამოეწნდი მოულოდნელად.

— გიგო, გიგო, გიგო! როგორ გადარჩა?! მომეხ ვიეენენ სამოვენი გაკვირვებულნი და გახარებულნი.

— ხიდის ქვეშ რკინებში ჩავეკიდე.

— უკანაური ხარ, უკანაური!...

— მოგკვევი! შინ დარდისაგან აღარ იეზენიან

XIX

ანასტასიევის ჭეჩაზე ვცხოვრობდი.

ზაფხულში საღამობით მტკვარში ბანაობა მიყვარდა. ერთხელ, ცოტა შეგვიანებით მომიხდა სატოიზე ჩასვლა ბინდბუნდში მოფარებით გავიხადე ტანისამოსი. ფეხსაცმელები, ქუდი, ქამარი ერთად შევაზვევ დავაწყე ნიშნეულ ალაგას და ჩავედი წყალში. კარგა ხანი ვიბანე. შემდეგ გაგრილებული ამოვედი. ასჯერ მივედი ტანისა მოსის ჩასაცმელად. მაგრამ... რა შეგიბნიამ, რას ეძებ!..

დავრჩი ტატეული. სიცივე ვიგრძენი. ავიკელ და ჩავიკელ. როდემდისინ უნდა ვიყვე აქ? ქუჩები გაჩაღებულია. ისმის ვერის ხიდზე კონკების წკარუნი.

ათასნაირად მოვიაზრე და მარტო ერთი გზა იყო. აგურხანების მხრიდან შეიძლებოდა მოვლა.

როგორც იყო, ხეე-ხეე ავიპარე. ჩვენი ქუჩა გამოჩნდა. სახლამდინ დიდი მანძილი აღარ დარჩა, მაგრამ ერთ ადგილას ორი ფარანი ენთო და ამ ფარანთან მთელი უბნის დედაკაცობა ჯორაობდა. ბავშვებს ტრიამული გაჭქონდათ. მეტი ღონე არ იყო, უნდა იერიშზე გადაესულიყავ.

გავქანდი და გავარღვიე ფრონტი.

— ეი, ეი, ეი! — შეიქნა ალიაქოთი.

გოგო-ბიჭები ჯერ დაფრთხნენ, მაგრამ მალე ბორნს მოვიდნენ და გამომეკიდნენ:

— გიეია, გიეია, გიეია!..

ერთგან ქვას ფეხი წამოეკარი სისხლი გამომედინა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. ამ ყოფით მივალწიე სახლამდინ.

ეზოს კარები დაკეტილი დამხვდა, სტუმარმასპინძლებს მიეყარათ თავი და გაჩაღებულ აიკანზე ჩაის მირთმევდნენ.

— სადა ხარ, ბიჭო აქამდინ? — მომესმა ბარიშნა ლიდიას ხმა.

— ზალის მხრიდან მოდი! — წამოვიდა კარის გასაღებად ლიდიას უმკოსი და — ზინა.

— ზალიდან ვერ შეშოვალ, ალაყაფის კარები გამიღეთ. — ჩაეკეტნეტ ძირს.

— რა დაგემართა?..

ზინა შეგნითკენ ეწევა კარებს, მე — გარეთკენ. დაინტერესდნენ. ზალის კარებთან მოგროვდნენ.

გოგო-ბიჭებმა მთელი უბანი თავზე დამახვიეს.

XX

ეუნკეიჩოან ვიმსახურე ექვსი წელიწადი. შემდეგ ისინი რუსეთში გადასახლდნენ.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი მწარე ამბები გადახდა. დიეკარე დედა, მამა, დები. პატარაობიდან ობლად გაზრდილი უფრო დაეობლდი

ხელობის მესწავლა მინდოდა. შეგირდათ მისვლა კიდევ არ მიბერხდებოდა, მწობლების და დების პატრონობაზე აღებული ვალები ჯერ გადასახდელი მჭონდა.

ერთ დღეს იარმოკაში ნაცნობი სომეხი შემხვდა:

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— რას დადიხარ?

— ადგილს ვეძებ.

— ყაზარ, ყაზარ! — დაუძახა ვიღასაც. ყაზარა მოვიდა.

— გაიცანით! — უთხრა ჩემზე სომხურად.

— „ბაროვ ქეზ“! — ჩამომართვა ხელი.

— „ბაროვ ქეზ“! — გავიმეორე მისი ნათქვამი. სომხური ლაპარაკი ცოტ-ცოტა მესმოდა, მაგრამ გამოთქმა კი არ მივარკოდა. მოილაპარაკეს.

ჩემმა ნაცნობმა ცალკე გამიხმო:

— არქ-ეპისკოპოს სუტენიანს მსახური უნდა. თვეში ოხუთმეტი მანეთი ჯამაგირი გეკნება, სმა-ჭამა კარგი, საჩუქრები კიდევ სხვა.

— რა თანამდებობაზე?

— ოთახებს დაულაგებ, მიმსვლელ-მომსვლელს მიიღებ. ეტლს მოუყვან და კოხლაზე დაუჯდები.

მეტიც არა მესწავლა-რა.

— სომხური რომ არ ვიცი? — ეკითხე.

— საკმარისია რომ სომეხი ხარ... თანდათან შეისწავლი.

ორი საათის შემდეგ ვანქის ორ-სართულიან შენობის სამზარეულოში ვწმენდდი ეპისკოპოსის ანაფორასს, შარვალს და წაღებს.

„რაცა კაცსა ბედმან მისცეს
დასჯერდეს და მას უბნობდისო“...

ყურებში მიღიტინებდა შოთა რუსთაველის სიმართლით სავსე სიტყვები.

XXI

საღამოზე ყაზარა სახლში წავიდა.

ცოტა ხანს უკან ოთახიდან ზარმა დაიწკარუნა.

შევალე კარები და დავიხახე უშველებელი ტანის კაცი თავზე წოპი ჩაჩით და ხელში კრიალოსანი. ეს იყო ეპისკოპოსი, რომელსაც სახელის მაგიერად „სურფ-ეზანის“ ეძახდნენ, რაც ნიშნავს „წმინდა ქვას“.

ეპისკოპოსმა თავიდან-ფეხებამდინ ამათვალიერა-ჩამათვალიერა. შემდეგ ქოჩორზე ხელი გადამისვა და მიბრძანა სომხურად:

— ათი საათი, როცა შესრულდეს, სტაენები დახურე, ლამპები ჩააქრე, შემატყობინე და მერე დაიძინე.

თავი მოწიწებით დავუკარ და გამოველ.

ათ საათზე ბრძანება შევასრულე და შევედი შესატრობინებლად.

— „ინჩ ხაბარ“? — მკითხა — „წმინდა ქვაბმა“ და კიდევ ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— სტაენები დავხურე, ლამპები ჩავაქრე, ეხლა წავალ, დავიძინებ. — მოვახსენე ჩემებურ დამტკიცეულ სიტყვებით.

— „ინჩეს ასუმ“? — გაშტერდა ჩემ ნათქვამზე

მე უფრო გარკვევით გავიმეორე. დარწმუნებული ვიყავ, სწორედ ვეუბნებოდი.

— „ეგა, ეგა! იშუნ, იშუნ“! — მომეარდა, მკარ ხელი და გარეედ გამომგდო.

ვერ გავიგე რაზე გაჯავრდა. შემდეგ მომაგონდა: დღისით დავინახე, ტარასტა ეზოში ტარ-გეურქას სახედარს ბალახს აპმევდა, რომელსაც „საკურთხის“ საზიდაკად ინახავდნენ.

ალბად „სურფ-ეზანის“ ბალიში გადასული და იმაზე ჯავრობს: — ვიფიქრე და წავედი მოსაძებნად. სულ დავიარე ბაღლა, მაგრამ ძე იქ სახედარი ვერა ვნახე.

დაეღუნე თავი და ისევ შევედი.

„ჩეა იშუნ“! — მოვახსენე დასამშვიდებლად.

ეპისკოპოსი უფრო გაღიარია. იწივლა. მიეკარა. მე მეგონა, გაგიეფდა. ძლიეს გამოვასწარ. მომყვა ფეიბების ტყაპა-ტყაპით და კარები ჩაკეტა.

შუაღამემდინ ისმოდა ოთახიდან მისი ბრაზიანი ხმა.

მეორე დღეს ყაზარას მოსვლის შემდეგ „სურფ-ეზანის“ ოთახში სკამების ბრახა-ბრუში სიცილ ხარხარად შეიცვალა. გამოირკვა, რომ თურმე ჩემი სომხურით შემეგინებინა „წმინდა ქვაბისათვის“.

ძნელი ყოფილა ენის უცოდინარობა

ჩემი პოეზა სასიამოვნოდ დაფარჩაა იქით, რომ მე ერთ რუკულაკარგულ ახალაარზოს მალე თავიანთებურად მოწესთლავდენენ და ჯოჯოხეთიდან სამოთხეში გადამიძახებდნენ.

XXII

ეპისკოპოსთან ვიმსახურე ექვსი თვე. ამ ხნის განმავლობაში ოთხჯერ გვეწვია ქათალიკოსი ხრიმიანი თავის „ეართაპეტებით“ — სამჯერ თითო კვირით და ერთხელ მთელი თვით. ქათალიკოსი ხრიმიანი და მაშინდელი მთავარმართებელი გოლიკინი ხშირად ერთმანეთს „ეიზიტს“ უმართავდნენ და რაღაც საერთო ქსელი ჰქონდათ გმმეული. თუ აქამდინ საეკვოდ ვუყურებდი ეკლესიას — ახლა ჩემთვის ნათელი იყო ყველაფერი. არ დაიწერება ქაღალდზე ის ამბები, რაც იქ ფარდის უკან ხდებოდა. ბატონებთან ყოფნის დროს ნანახი „საქმენი საგმირონი“ ნაათალი არ იყო ანაფორანების გარყვნილებასთან. საწყალი დედა-ჩემი! თავქვეშ სახარება ედო და ისე დალია ლოცვაში გამოლამებული წუთისოფელი. მშვიერი იყო და რამდენიც ორი შაური ინოცა საწირაეში მისცა!

—

ერთ საღამოს ქათალიკოსისთვის მიხეილის ქუჩიდან კოტრინის „კარეტა“ უნდა მომეყვანა თავისი უშველებელი შავი ცხენებით.

წვიმამ ცრა დაიწყო.

მეეტლემ ნება მომცა ჩავმჯდარიყავ.

თითონ ცხენები შეაბა და წავიდა „ფორპის“ ჩასაცმელად.

უცებ ძაღლი კატას გაეკიდა.

ცხენები დაფოხენენ.

„სტოი, სტოი“! — იყვირა მეეტლემ, მაგრამ ცხენები უკვე ქეჩაში გაქანდნენ. მალე „დიშლა“ ელექტრონის ბოძს დაეჯახა და კოტრინს მარტო „ლონდოს“ ნამტკიცეები-ღა დარჩა.

ქათალიკოსი ხრიმიანი იმ ღამეს ვეღარ ეწვია მოლოშნებს ინდოურის ჭარისაზე.

XXIII

დავახწიე თავი „წმინდა ქვაბების“ სამსახურს. ჩარკვეიანის პატარა სტაბაში დავდგეკი. ჩარხს

ვაბრუნებდი და თან ასოების აწყობას ვსწავ-
ლობდი. ამისრულდა დიდი ხნის ნატვრა.
ველირსე ქარხნის დინამო-ჰანგების ჰარმო-
ნულ ხმის მოსმენას. გავეცან გრდემლისა და
ის მნიშვნელობას, რითაც იქედება ახალი
ოვრება და ახალი წყობილება. გავარვარე-
ული ქუჩა და მანქანის გრიალი იმედებით
მივსებს გულს. დღეს უკვე ორმოცდაოთხი
წლისა ვარ და ხვალ, რომ მოვკვდე, მწამს
ზეგ ჩემი შვილი იხილავს იმ მზის ამოსვლას,
რომელიც დიდსა და პატარას ერთნაირად
გაუნათებს სასიყვარულო სწორუფლებიან გზას.

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

მუშა მგზავსანი.

ბრძოლის ქარცეცხლში ნაწრთობია ჩვენი მკლავები,
ფაარა-მუშაა ბრძოლის ველის დამამშვენებენ,
და გვიხარია, რომ სამყაროს სწვავს დაუნდობლად
მძაფრად ამდგარი, აწოლილი ცეცხლის ენები.

—

გუზგუზებს ქარა, ხან ამოხეთქს ეულკანის ლავა
და ერთი წუთით გათავდება ბრძოლა და დავა!...

—

ჩვენი გზა მხოლოდ შრომის გზაა, შრომის-სიმღერა,
და. ეს ალმები სამაისოდ ისე იკინის,
რომ ჩვენ მტკიცედ გვწამს ჩვენი ბედი მან გამოკეკრა,
და იმედი აქვს მომავალში თუჯის და რკინის.

—

დღეს ჩვენი ქნარი უმღერს შრომას და შრომის შვილებს,
და ერთი აზრი აალმასებს ყველა ჩვენი გულებს;
რომ ბრძოლა არის ჩვენი ხსნა და ჩვენი იმედი
და ამ ბრძოლისთვის არ დავზოგავთ ძალ-ღონეს ულვეს.

—

გასწიეთ ყველგან, ხუთივე მხრით გრძნობის რაშებო!
დე, ეს საძაარო აყიროვდეს ბრძოლის დანთებით,
სად იტანჯება, ზოგი უქმად მოცალეობით
და ბეგრნი კადეკვ აგონის წვით და ანთებით!

მ. ხრიალეთელი.

ბოგავლის იმედი.

მომავლის სიმბოლო: რიერაკვა ვარდები,
ჩიტები—გვრიტები, ცქვიტები—მარდები:
გონება ელვარე, გრდემლის მძლე ზანზარი..
სიეოცხლით სავსეა წითელი ბაღნარი.
სიამემ დაჰბერა მომავალს გავცქერით
ცად ნაფეთქ ალისფეს ალამის ჩანჩქერით...
ქარხნების ხმაური ზეიმობს რკინები;
გაკაკუდ იმედი... ვქრივართ წინ გმირები
მომავლის მორბედნო, ასწიეთ საყვარი!..
აფრაშლილ ხომალდზე გამოჩნდა ნაპირი...
ხეენდები დახმეულ სულს, გონებას ავეაროთ;
იმსხვრევა ძველი და ოხერი სამყარო...
ჰა, ჩემი სალამი რიერაკვა ვარდებო,
მორბედნო მომავლის, გმირებო მარდებო;
თქვენი ხმა ჰანგები, ვით გრდემლის ზანზარი,
ეფინოს მსოფლიოს, ელავდეს მთა ბარი.

ანაზარდი.

ძლევის ღიმილი.

ჩვენ ავამღერეთ ყველა ქარხანა,
თუჯის და რკინის ამტკიცველებით,
მოტორმა ღვედი გადაკქანა,
შეირხა სიერეკ შავი ხელებიდან.

და ახმაურდა ჩაქური, გრდემელი.
აქშინდა ქურა, აბოლდა მილი,
ელექტროს ჯალი აენონო ცეცხლათ
შრომის ჰანგს აყვა ძლეკის ღიმილი!

ბესარიონ პელაშვილი.

პატიოსანი მუშა

ღამის პირველი საათი იყო, როდესაც მე
ა ჩემი ამხანაგი პეტრე თეატრიდან გამოვე-
�თ;
ანვარის 25 იყო, საშინელი ცივი და ყინნვა-
ი ღამე; ცა ვარსკვლავებით მოკირწყლულიყო
ა მთვარის შუქი მკრთალათ ანათებდა ჩუ-
ურეთის ყრუ და მიეარდნილ ქუჩებს.
მშრომელი ხალხი ღრმა ძილს მისც�dmd,
ათ მყუდროებას მხოლოდ ხან გამოშვებით,
ტლის ან ავტომობილის ხმაურობა არღვევ-
და... ბედნიერი ხალხ! თეატრებიდან სახლებს
ენ მიეშურებოდა... ქუჩები მთლ ათ ცარიელი
ყო ადამიანების მოძრაობა მიწყნარებულიყო;
ბგრამ გამოცდილი თვალი ადვილათ შენიშ-
ნავდა ქუჩის ბნელ კუთხეში ორ ადამიანს,
რომელნიც საკმაოთ დაბლა ლაპარაკობდნენ;
ახლო გამეღლილი მიხვდებოდა, რომ აქ ერთ-
ეკვარ ეაჭრობას ჭქონდა ადგილი: ამათ მე-
ამე ჰირი შორი-ახლო უთვალ-თვალებდა
ბთგანი ერთი ქალი იყო...
— მიეიდეთ ახლოს, ნანახოთ ვინ არიან,—
მითხრა ჩემმა ამხანაგმა.
მე არ დაეთანხმე. მან მაინც თავისი
გაიტანა. ჩვენ ცოტათი დაუახლოვდით, მის-
ვლისთანავე ჰირველმა მოლაპარაკემ ქუჩური
სიტყვაი შეუკურთხა ქალს და საჩქაროთ გან-
შორდა; ჩვენ მთვარის შუქზე კარგათ გავარ-
ჩიეთ რომ ეს გარეკნილების მსხვერპლი იყო
ქალი, ასე 18 წლისა რომელიც ჩვენმა ამხა-
ნაგმა მალე იცნო და გამოეკაპარაკა პატიო-
სანი გრძნობით. ჩვენ, ზამთრის ძველ პალ-
ტოებში გამოხვეულებს სიცივემ ძალებამდინ
ჩაგვატანა, ხოლო რა მდგომარეობაში უნდა
ყოფილიყო ის უბედური ქალი, რომელსაც
ეცვა მხოლოთ გაცვეთილი ზაფხულის კაბა,
ძირებ გამოვარდნილი ფეხსაცმელი; ფეხსაც-
მელიდან კი თითის წვერები მოჩანდნენ; ამხანგ-
მა მანიშნა, რომ ჩვენ პირდაპირ დიდი შენო-
ბის ეზოში შევსულიყავით.
მესამე პირი რომელიც ახლა თითქოს ჩვენ
მოწონაალმდეგე მხარეს გადავიდა და ახლა
ჩვენ დაგვიწყო ცქერა ჩვენ მიუახლოვდით
ეზოს ჭიშკარს. ქალმა თავისუფლათ შეაღო
კარები და ჩვენც შევეყენით თან:
აქ უცებ წინ შემოგვდა ერთი ღრმათ მო-
ხუცებული, რომელმაც საჩქაროთ გვითხრა:
— ცოტა ხანს მოითმინეთ, სახლში სხვებიც
არიან, ცოტა ხნის შემდეგ ოთახი „თავისუ-
ფალი" იქნება. გირჩევთ სხვა ალაგი მონახოთ,
რადგანაც შეიძლება პოლიკია უცებ თავს
დაგვადგეს და თქვენც დაგიჭერენო.
ჩვენ აქ უცებ მიეხვედით თუ ვისთან და რა
ადამიანთან გვაქს საქმე და ოკან გამობრუნე-
ბა ურჩიე ამხანაგს. მან დამიჯერა ხოლო ქალს
თავი არ დანება. ბევრი ლაპარაკის შემდეგ
მან ქალი დაითანხმა, თავის ოთახში წაყვანას.
ჩემი ამხანაგი თავის პატარა შვილთან ერთათ
პარტოკა სცხოვრობდა და არავინ ხელს არ
შეეშლიდა... ქალიც დასთანხმდა; უკანასკნე-
ლად ღრო ითხოვა ჩვენ მოუთარაჯე უკნიან
პირისთვის ორიოდე სიტყვა ეთქვა.
ამხანაგმა ნება დართო.
როდესაც დაბრუნდა ქალი ჩვენთან, შეეე-
კითხეთ თუ ვინ იყო-ის.
ამ კითხვაზე ქალმა ტირილით გეკპასუხა,
რომ ის ერთი ყოველთა სძაგელი ადამიანია,
უსაქმოთ. მოხტიალე ამასთანავე ქურდია და
ყრველ ადამიანურ ღირსებას მოკლებული;
მან ცრემლებით წარმოსთქვა: ცხოვრობს
მხოლოთ იმით, რასაც ჩემი სხეულის ვაჭრო-
ბით ეიშო�dmd, წინაალმდეგ შემთხვევაში ცემით
და მკვლელობით მემუქრება. მშიერს და შიშ-
ველს მატარებს და ჩემს ნაშოვნს კი სამეკატ-
ნოში ფულაგაგს.
ამ ბანში მიეალწიეთ ამხანაგის სახლამდის.
ჩაი მზათ დაგვხვედა სამიე შემოუსხდედით. მა-
გიდას, ჩვენ ძლიერ გვაინტერესებდა იმ მი-
ზეზების გაგება, რომლითაც ის გადაეშვა
გარყვნილ ცხოვრების ფუმბეში და თუ შესა-
ძლებელი იყო ის კვლავ დაგვეყენებინა პა-
ტიოსანი შრომით ცხოვრების გზაზე. რადგა-
ნაც კარგათ ეიცოდ რომ ადამიანები უკანტიო-
ნონი არ იბადებიან.
რამდენიმე ჭიქა ცხელმა წყალმა ეს უბედუ-
რი ქალი მოასულიერა, გათოშილი სხეული
გაუთბო და ჩვენ კითხვებზე შესაფერ პასუხ-
საც იძლეოდა, მაგრამ როკა შეეეხეთ მისი
ცხოვრების პირობებს და მიზეზს მის დაცემი-
სას მან რამდენიმე ცრემლი გადმოაყარა თვა-
ლებიდან და ასე დაიწყო:
მე გახარწნილი ადამიანი ვარ. ჩემი სხეულ-
ლით მოვაჭრე, ყველასგან დამცირებული და
ეეეხნი გათელილი. მაგრამ... ჩემს გულში ე-

დეგ არის დარჩენილი ცოტა რამ ადამიანური გრძნობისა. მე შემიძლია პატიოსანი მეუღლე გავხდე ჩემი ქმრის და გულკეთილი დედა ჩემი შვილების, მაგრამ ჩემისთანა ადამიანს ეხლა ადგილი აქვს ცხოვრებაში?! ანდა რათ გიხდათ, რომ ჩაიხედოთ ჩემი ვეფის სიღრმეში? თქვენთვის სულ ერთია მე ეხლა თქვენი საქონელი ვარ. ისარგებლეთ ჩემით, თქვენ რას დაეძებთ თუ ჩემს გულში რა ჯოჯოხეთის ცეცხლი ანთია, მე ჯერ კიდეე ახალგაზრდა ვარ, ჯერ კიდეე შემიძლიან დავაკმაყოფილო თქვენი მხეცური სურვილი, ჯერ კიდეე უყურნებლო სენით არ დავსნეულებულვარ, რომ თქვენც გადაგედოთ.. ისარგებლეთ მეთქი, რაღას უყურებთ!.. მომცეთ რამდენიმე გროშსა და აგერ მესამე პირიც იქ მომელის, წაუღიან ამას და ისიც სიამოვნებით წაიღებს სამეკიტნოში... მე ხომ თქვენთვის ადამიანი არავარ, მაშ რათ გსურთ გიგიოთ თუ მე ვინა ვარ... მე საქონელი ვარ... ვესმით, საქონელი... დიახ, ცოცხალი საქონელი!..

აქ ქალმა უფრო უმატა ტირილს და ჩვენც კითხვები შევაჩერეთ, ვიდრე დამშვიდდებოდა.

ჩვენ დავარწმუნეთ ის, რომ ცუდი განძრახვით არ წაგვიყვანია, არამედ იმ მიზნით, რომ თუ შესაძლებელია ავაცდინოთ კიდეე იმ გარყვნილ ცხოვრების გზას, რომელზედაც ის დადის.

ამ საამედო სიტყვის შემდეგ მან მოკლეთ გადმოგვცა შემდეგი თავის ცხოვრების მსგავლობა:

12 წლისა იყო ობლად. დასტოვა დედამ და ერთი წლის შემდეგ მამაც მოუკვდა, ის მეზშვეიკების მთავრობის დროს უდანაშაულოთ დაიპატიმრეს და გაგზავნეს ქუთაისში. გაცივების გამო ფილტვების ანთება გაუჩნდა... 13 წლის ბავშვი დარჩა უმწეოთ და უპატრონოთ, ქუჩის ანბანართ შემდეგ ბებერმა დედაკაცმა იშვილა. შეეიდა თამბაქოს ქარხანაში სამუშაოთ, კვირაში ორი მანეთი ჯამაგირი დაუნიშნეს, მაგრამ მის დედობილ ბებერს ეს არ აკმაყოფილებდა, რის გამო ცემა და კარში გაგდება ხშირი მოვლენა იყო მის ცხოვრებაში; მას უნდოდა მეტი შემოსავალი. რის გამო მან ინახულა სახლის პატრონის შვილი, ახალგაზრდა სტუდენტი, თავისი შვილეული ბაყაფდა მასზე ათ თუმნათ და თავის ფეხით მიიყვანა ერთ სასტუმროში,

ტაბლე სასმელში ქალს შეაპარეს სძინილა წამალი და მის უმანკოება შეიქმნა მსგავრად ერთ გარყვნილ სახლის პატრონის გამხეცებული ბუნებისა. 9 თვის შემდეგ ის დედა შეიქმნა თავის უსუსური ბავშვისა, მაგრამ რა დღესაც მის ბავშვმა დღის სინათლე იხილა, იმავე ღამეს ბოროტმა ბებერმა მოგლეჯა დედას გულიდან ბავშვი და თავის ხელით წყალს მისცა, რომ შემდეგ დედისათვის ხელი არ შეეშალა ეეაკრა თავის სხეულიო და ბებერი ეცხოვრებინა. ამის თქმის შემდეგ ამოოიხრა ქალმა.

მას შემდეგ მე ჩემ თავს ალარ ვეკუთვნი. მე დღემდის სხვისი. ბინა ვარ, ბინა-გარყვნილი და უხეცო ადამიანის, ეხლა ჩემთვის არ არის ადამიანური თანაგრძნობა გარდა ზიზღის და დამცირებისა. აი, როგორც ხედავთ, ჩემი ცხოვრების მსგელობა მოკლეთ გადმოგეცით, თქვენ ის სასიცილოთ არ გეყოფათ. რადგანაც ამ წუთას მე თქვენი მონაცა ვარ, დასტკბით ჩემი ტანჯვით, გასოფლეთ ფეხით ჩემი თავმოყვარეობა, მხოლოო მითხარით, მე დილამდი შემინახავთ თუ ამალამეე გამანთავისუფლებთ?!. სთქვით... ნუთარ ყოყმანობთ... გრცხვენიათ თუ გეშინიანთ?! ჩვენ ხომ მამაკაცების სახმარებელი ნივთი ვართ? ნივთი ისეთ სახმარებელი, როგორც ჩუქი, ფეხსაცმელი. რომელსაც ჩაიცვამთ, გასცვეთამთ, გაკეეთის შემდეგ გადაგდებთ, მერე ახალს მოსძებნით, და ასე. მიპასუხეთ მე დრო ალარა მაქვს!..

ჩვენ გაქვავებულნაი ვიყავით. არ ვიცოდით რა გვეპასუხნა, მაგრამ სიხუმე ისეე ჩემმა ამხანაგმა დაარღვია და გულწრფელათ მიმართა ქალს:

გინდა დასთმო ეს გარყვნილი ცხოვრება და ისეე პატიოსანი ადამიანი გახდე?! გინდა რომ შენ ჩემი შვილის დედის სახელი იტაროს?! დამეთანხმე მე. დარჩი სამუდამოთ ჩემთან, მოუარე ჩემს ერთ შვილს და დარწმუნებული იყავი სამარის კარამდეის თავს არ დაგანებებ. მე ალარ გადაგისვრი იმ გარყვნილებს წუმპეში, სიიდანაც მინდა ამოგიყვანო, მე არ ვამბეეე ყურადღებას დაცინეს, არც ნაცნობ-ნათესავების კიცხეა-ყვედრებას და არც შენ წარსულს; მე ჩემს ზნეობრივ მოვალეობათ მიმაჩნია, რომ ერთი ადამიანი მაინც გამოვგლეჯო გარყვნილ ცხოვრებას და პატიოსან გზაზე დავაყენო. მე შვილი მყავს და შვილს კი დედა არა ყავს. მისმა დედამ მას უღალატა ის გაჭყეა სხვას, რადგანაც მან ღარიბი მუშის ცხოვრება ვერ აიტანა და შეიძლება მას შენზე უარესი მწარე ცხოვრებაც მოელის! მაგრამ ეს მომავალის საქმეა. ახლა მითხარი, თანახმა ხარ ჩემს წინადადებაზე თუ არა? ქალი გაოცებული შესცქეროდა ჩემს ამხანაგს. მას ამ წუთს ვერ წარმოედგინა თუ ქვეყანაზე კიდეე არის ადამიანი, რომელიც მას საკეთილოთ ხელს გაუწვედიდა და მოიხურვებდა მის ფეხზე წამოყენებას და მის დამცირებულ თავმოყვარეობის აღდგენას.

ქალი დასთანხმდა.. უცებ ფეხზე წამოდგა, ტანში გაიმართა და სახე გაუბრწყინდა, ის ამ წუთს სულ სხვა ადამიანათ იქცა. დარწმუნებული იყო, რომ ახლა სხვა ადამიანთა შორის მასაც ადგილი დაეთმო ის პატიოსანია და პატიოსნათვე მიეა სამარის კარამდე.

ასე იდგა ის პატარა ხანს. უცებ ის მუსლეგზე დაუეარდა ჩემს ამხანაგს ერთად ხელები ცრემლებით დაუსველა! მეორე დღეს სამივ ერთათ ჩვენ კომისარის წინ ვიდექით იმ ქალის პირადობის მოწმობისათვის. მან საჩქაროთ და სიამოვნებით შეასრულა ჩვენი თხოვნა, მისცა ჩემ ამხანაგს; „ბედნიერია ის სახელმწიფო, რომელშიც შენისთანა ადამიანი ოცდაათი პროცენტი მაინც სუხოერობსო". მეც ჩემი მხრიდ დაუმატე, რომ გაუმარჯოს იმ ადამიანს, რომელსაც ისეთი კეთილი აზრი დაებადება თავში, სიტყვას საქმეეი აქცევს. და ამით დაიმსახურებს სახელს პატიოსან მუშისას.. მას შემდეგ გაუელია რამდენიმე წელიწადს და დღესაც ბედნიერათ ცხოვრობენ ერთადგ.

მუშა ალ. ბ—შვილი.

მუსიკა

პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი და ნიკოლოზ ანდრიას ძე რიმსკი-კორსაკოვი

მიმდინარე წელში რუსეთის მუსიკალურ წრეებმა „ალონიშული იყო რუსული მუსიკის ორ დიდებულ შვილის ჩაიკოსკის და რიმსკი-კორსაკოეის სამგლოვიარო იუბილე.

ჩაიკოვსკი

ჩაიკოსკი გარდაიცვალა 1893 წლის 25 ნოემბერს; მისი საკვდილი სრულიად მოულოდნელი და შემთხვეევითი იყო: მას უეცრათ დაემართა ხოლერა იმ დროს, როდესაც რუსეთში სრულებით არ კოფილა იმ ხალერის ეპიდემია.

ვინ არ იცნობს რუსეთის დიდებულ ღარიკოსს სახელსა და შემოქმედებას; ქვეყანაზე არ არის ისეთი ესტრადა, სადაც არ შესრულებულიყოს ჩაიკოვსკის სიმფონიური ნაწარმოებნი. რუსეთში ჩაიკოსკის ოპერები არაოსდეს არ იხსნებიან რეპერტუარიდან და ამ ოპერებმა მოჭალაქოებრივი უფლება მოიპოვეს უკვე, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთაც.

ჩაიკოვსკიმ სახელი გაითქვა უმთავრესათ თავის საოპერო და სიმფონიურ შემოქმედებით. მას აქვს მთელი რიგი ოპერებისა: „ევგენი ონეგინი", „პიკის ქალი", „ჩერევიჩკი", „ირლეანის ქალწული", „მაზეპა", „იოლანტა" და „ჩაროდეიკა". ამათ გარდა ჩაიკოვსკის აქვს რამდენიმე ბალეტი, რომელნიც ცალკე სამალეტო მუსიკის სიამაყეთ ითვლებიან: მათში მრავალთ მოიპოვება მშვენიერი მელოდიები და ყველა ეს ნაწარმოებნი სიმფონიური ხასიათისა.

მისი ბალეტი „გედების ტბა“, „მძინარე ალმაზი ქალი“ და „შეილკუნჩიკი“ საბალეტო მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს შედგენენ.

ჩაიკოვსკი ყველაზე უფრო ძლიერია თავის სიმფონიურ ნაწარმოებებში; რუსეთის მუსიკალურ ლიტერატურას სამართლიანათ შეუძლია იამაყოს ამ ნაწარმოებებით.

ფორტეპიანოს ლიტერატურის სფეროში ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს არ აქვთ დიდი მნიშვნელობა საერთაშორისო მუსიკალურ ლიტერატურისათვის, ამ სფეროში საუკეთესო დამთავრებულ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს მისი პირველი კონცერტი Bmoll და სონატა Edur.

ამას გარდა ჩაიკოვსკიმ შექმნა მთელი რიგი კამერულ ხასიათის ნაწარმოებისა (კვარტეტები, მისი დიდებული trio, რომელიც უძღვნა მან ნიკოლაზ რუბინშტეინს), ჩაიკოვსკის რომანსების ლიტერატურა კა აქნამდის ერთად ერთია და შეუდარებელი,

ჩაიკოვსკის მუსიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასზე აღიზარდა არა ერთი თაობა, ის კიდევ დიდხანს გაანათებს გზას მიმართულს უმაღლესი მშვენიერებისაკენ, მისი ნაწარმოებები დიდხანს დაამშვენებენ კიდევ, როგორც საოპერო სცენებს, ისე სიმფონიურ, ვოკალურ და კამერულ მუსიკის ესტრადებს.

ჩაიკოვსკი მოკვდა, მაგრამ ის ცოცხალია თავის ნაწარმოებებით.

რიმსკი-კორსაკოვი

სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებას ატარებს თავის ნაწარმოებებში რუსული მუსიკის მეორე დიდი მხატვარი რიმსკი-კორსაკოვი, რომელიც გარდაიცვალა 1908 წელს 8 ივნისს.

რიმსკი-კორსაკოვი ითვლება პირველ სიმფონისტათ რუსეთის მუსიკალურ ლიტერატურაში: ეს აიხსნება იმით, რომ რიმსკი-კორსაკოვმა თავისი ნაწარმოებები გაამდიდრა ლამაზ და მრავალფეროვან კოლორიტით, რაც მანამდის არ ახასიათებდა რუაულ მუსიკას. მართლაც და რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებები—ეს მთლიანი საორკესტრო შუშხუნაა; კორსაკოვი საუკეთესო მკოდნეი ინსტრუმენტოკის, კონტრაპუნქტის, ფუგის, ჰარმონიის განსაკუთრებულ ლამაზ მელოდიურ სურათს იძლევა ყველა თავის ნაწარმოებებში. მისი შემოქმედება გამსჭვალულია სიცოცხლის უნარიანობით და სიმტკიცით—მისი ოპერების ძირითადი თემაა-ეპოსი და „ბილინები“; მისი საოპერო შემოქმედების ნიმუშები არის მისი ოპერა-ბილინა „სადკო“, ოპერა. ზღაპარი „სნეგუროჩკა“, ისტორიული ოპერები „მეფის საცოლე“ და „თქმულება ქალწულ თეორნუზე“, ორკესტრის ფანტასტიკა და თვალის მჭრელი სილამაზე-ი საფუძველები მისი შემოქმედებისა.

ჩვენი საოპერო თეატრის მიმდინარე წლის რეპერტუარში შედის აგრეთვე მისი ოპერა-ზღაპარი „ოქროს მამალა“, რომელიც შინაარსის მხრივ პოლიტიკური პამფლეტია ძველი რუსეთის დახასიებულ თვითმპყრობელურ წესწყობილებაზე.

ოპერების გარდა რიმსკი-კორსაკოვმა სახელი გაითქვა აგრეთვე მთელ რიგ სიმფონიურ ნაწარმოებებით, რომელთაგან აღსანიშნავია „შეჰერაზადა“ (აღმოსავლეთის თემებზე, შინაარსი აღებულია ზღაპარიდან „ათას ერთი ღამე“), „ანტარი“, „ესპანური კაპრიჩიო“, „ნათელი დღესასწაული“ და მთელი რიგი სიმფონიურ მუსიკის ნაწარმოებებისა, რომელნიც მშვენივრათ არიან ამაშუშავებულნი ინსტრუმენტოვკისა და კოლორიტის მხრივ.

რიმსკი-კორსაკოვმა შექმნაიკამერულ მუსიკის და რომანსების ლიტერატურის მრავალი ნაწარმოებები.

ინ საესებით შეიძლება საათვალოს ეროვნულ კომპოზიტორათ, რადგან მის ნაწარმოებებში სჭარბობს მუსიკის ეროვნული სტილი, შინაარსი კი თითქმის ყველა ნაწარმოებებისა აღებულია რუსეთის ცხოვრებიდან.

1905 წელში რიმსკი-კორსაკოვი ჩაერია იმ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც სწარმოდა კოსსერვატორი ავტონომიის ირგვლივ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ. ის არ შეუშინდა მუქარას და დევნას, აღფრთოვანებული გაჰყვა ახალგაზდურ მოძრაობას. შედეგათ ამის მოყვა ის, რომ მან დაკარგა ადგილი, მაგრამ მოიპოვა მბრწყინვალე იდეალებისათვის მებრძოლის სახელი. ამ ბრძოლის და პროტესტის შედეგი იყო კონსერვატორიის ფართო ავტონომია.

ბ.

ტფილისის მუსიკალური ქრონიკა.

— ტფილისში გაიხსნა საკონცერტო სეზონი გამართული იყო უკვე ბარრის, გაბრიელიანის და ზომმერის კონცერტები.

შემდეგ კონცერტს გამართავენ კონსერვატორიის პროფესორი ლედნიკი (პიანური) და სიმღერის კლასის უფროსი მასწავლებელი რეშმოვა.

მთელი პროგრამა მიძღვნილია პ. ი. ჩაიკოვსკის შემოქმედებისათვის,

---

ზომმერის კონცერტების შემდეგ განზრახულია მოწყობილ იქნეს სახელმწიფო ოპერის დირიორის—მოქ. ბრონის და პიანისტ რეიმანის კონცერტი (დუეტები ორ ფორტეპიანოსთვის).

დუეტს ორ ფორტეპიანოსთვის მეტათ იშვიათათ ასრულებენ, დუეტების ლიტერატურა კი მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს.

ქრონიკა

უცხოეთი

საფრანგეთი.

1928 წ. ლიტერატურული პრემიები.

— **მხატვრული ლიტერატურული პრემიები** მომდინარე წელს მიესაჯა ახალგაზრდა მწერლებს რაიმონდ რადიგეს და ფილიპე სიფოს.

— **ფლობერის პრემია** მიესაჯა სამ ავტორს პიერ მილს, ჟან ეიოლისს და ფრანსუა დე ლა გერნიერს.

— **მხატვრების პრემია** მიიღო პოეტმა-რომანისტმა **პოლ-ვალერიმ**, რომელიც დიდის პოპულიარობით სარგებლობს ახალგაზრდობას შორის. ეს ახალგაზრდობა თავს იყრის ჟურნალ „Nouvelle Revue Francaise“-ს გარშემო.

ალეგრის პრემია მიიღო ფერდინანდ დიუშენმა რომანისთვის—„ახალგაზრდა ქალის ისტორია“.

— **ლორ ნორდკლიფის პრემია** მიესაჯა მწერალ ქალს **ჟანა ბალდს** რომანისთვის „ეაზი და ოჯახი“

რუსეთი.

— ცნობილი რუსი ბელეტრისტი ი. მ. ვასილევსკი (ნე-ბუკეა), რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ დაბრუნდა რუსეთში სწერს წიგნს „რომანოვები და კავკასია“.

გერმანია.

— გამომცემლობამ — „გრანი“ (ბერლინში) უკვე გამოუშვა ცნობილი რუსი რევოლუციონერის, „ზრომის განთავისუფლების ჯგუფის“ დამაარსებელის **ლევ დეიჩის** წიგნის „ნახევარი საუკუნის განმავლობაში“-ს პირველი ტომი. მოკლე ხანში გამოვა მეორე ტომი.

— **ადოლფ უან-ბევერმა** გამოსცა პარიზში ფრანგი მწერალის **პოლ ვერლენის** მიწურა-მოწერის მეორე ტომი, რომელიც მდიდარ მასალებს შეიცავს პ. ვერლენის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

— გამომცემლობამ — „გრანი“ (ბერლინში) გამოსცა **ბ. ქელლერმანის** ახალი რომანი

„შემთხვევა შვენდენკლეის ცხოვრებიდან“, დამანსკაია თარგმანით.

ამ ერ ი კ ა.

უ. სინკლერის გზით.

— იელის უნივერსიტეტის სტუდენტი **ჩარლზ რამფორდ უოკერი** უბრალო მუშად შევიდა ფოლადის დამმუშავებულ ქარხანაში და წელს ბოსტონში გამოაქვეყნა თავისი დღიური, სადაც ვრცლად არის აწერილი ამერიკის მუშების მძიმე მდგომარეობა. დღიურს ეწოდება — „ფოლადი“. წიგნმა ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ბურჟუაზიულმა გაზეთებმაც კი „მოითხოვეს“ მუშების მდგომარეობისათვის ყურადღების მიქცევა.

წიგნი ჩქარა გამოვა რუსულ ენაზე.

ბოსტონური „ზნეობა“.

— გარყვნილებასთან მებრძოლმა საზოგადოებამ მოითხოვა ზანგი-მწერალის **რენე-მარანის** რომანის „ბატუალას“ (არის რუსულ ენაზე) აკრძალვა ამერიკაში. „ბატუალამ ევროპაში სენსაცია მოახდინა და გონკურების პრემია მიიღო, საზოგადოებამ ამ წიგნში „გამრყვნელი ტენდენციები“ დაინახა. საქმე სასამართლოს გადაეცა, მაგრამ მოსამართლე რ. მარანის პატიესმცემელი აღმოჩნდა და საქმე „ბატუალას“ ავტორის სასარგებლოდ გადასწყვიტა.

კინო.

საქართველო

საქ. სახელმწიფო კინო-წარმოების ახალი კინო სურათი.

საქართველოს სახელმწიფო კინო წარმოების დირიქციამ გაგზავნა სოფ. ფასანაურში კინოს და დრამის მსახიობები ალექსანდრე ყაზბეგის რომანის „მამის მკვლელის“ კინოლენტზე გადასაღებათ.

„სურამის ციხე“

როგორც გაზეთებიდან სჩანს, საბჭოთა რუსეთში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კინო-სურათმა „სურამის ციხე“-მ.

პრესაში აღნიშნულია „სურამის ციხე“-ს კინო-სურათის მოხდენილი გადაღება.

რ უ ს ე თ ი.

„საბჭოების ძალაუფლებისათვნი“.

— კინო-საზოგადოებამ — „სეგზაპკინო“ — უკვე დაამთავრა გადაღება სურათის — „საბჭოთა ძალაუფლებისათვის.

— სურათში ნაჩვენებია მონობა და ჩაგვრა ძველ რომში, ძველ საბერძნეთში, ფეოდალურ ხანაში. ნაჩვენებია აგრეთვე ბატონყმობის ეპოქა რუსეთში და თანამედროვე საბჭოთა რუსეთი. მრავალია სურათშიისტორიული მომენტები, მაგალითად; შეთქმულება მეშვიდე წითელ არმიაში, წითელი პიტერის ბრძოლა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, იუდენიჩის შეტევა და სხვა.

ბიბლიოგრაფია

ეურ. „დროშა“ № 1 და 2.

საქართველოში სიტყვა-კაზმულ მწერლობას ჯერ კიდევ არა აქვს თავისი საკუთარი ორგანო, რომელიც წარმოადგენდეს დიდ ლიტერატურულ-მხატვრულ ლირიბლეებას. უკანასკნელის მოთხოვნილება ჩვენში კი მეტს-მეტად საგრძნობია.

ჩვენ ვხედავთ, რომ მხატვრული შინაარსის ეურნალ-გაზეთები ხშირად გამოდის, მაგრამ 1—3 ნომრის არ სცილდებიან.

ამ მხრივ ჩვენის აზრით უკეთეს მდგომარეობაში უნდა იყოს „დროშა“, რომლის ორი ნომერი უკვე გამოვიდა.

დავიწყოთ პირველიდან.

ის იწყება დეკლარაციით, რომელშიც სხვა თაშორის ნათქვამია: „დღეს ბევრი ნიჭიერი მწერალი სდუმს. ჩვენ ეს დუმილი როდი გვაბარებს. ჩვენი სრუვილი იქნებოდა, რომ ეს დუმილი დარღვეულიყო. საჭიროა ახალი სიტყვის თქმა რევოლიუციის სხივებით გამთბარის.

ეჭვი არ არის, რომ ეს ფრიად საჭიროა და სასურველი. მომავალი დაგვანახებს, რამდენათ იქნება ეს შესაძლებელი.

ნომერში ყურადღებას იპყრობს მოთხრობა **მიხ. ადამაშვილის.** „ქვაში ქვაპანტირაძე“. ეს მოთხრობა თავდება მეორე ნომერში. კარგია აგრეთვე **ვლ. მაიაკოვსკის** ლექსი „მარში მარცხნივ“, მოხერხებული ნათარგმნიცაა. შემდეგ მიდის მოგონება „მუშური რევოლიუცია“ ამხ. **მიხ. კახიანისა,** რომელიც ბევრ საინტერესო ცნობებს იძლევა. „ოქტომბერითი“ — **სანდრო ეულისა** კარგი ლექსია. აღსანიშნავია აგრეთვე „გზა ზეიმისაკენ“ — **ნ. ზომლეთელისა. ნ. ზომლეთელს** ეტყობა დიდი გამოცხლება.

ყურადღებას იპყრობენ აგრეთვე წერილები **ეგნატე ნინოშვილზე** — **ამხ. რაჟდენ კალაძის** და **ალექსანდრე ყაზბეგზე** — **თ. ახოკიასი.**

ფრიდრიხ ენგელსის პოემა „საღამო“ გამთბარია პოეტიური სიცხოველით და საერთოდ კარგი ნათარგმნია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვ. გ. ეხერხება თარგმნა.

სანდრო შანშიაშვილის დრამატიული პოემა „სპარტაკი“-ც ნიჭიერად დაწერილია. ჯერ დასტამბულია ორი მოქმედება.

ეურნალში მხატვრულ ნაწარმოებს გარდა მოთავსებულია ჩვენი სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის დამახასიათებელი ზოგიერთი ღირს-შესანიშნავი სურათები.

კარგია ეუნ. „დროშა“-ს მეორე ნომრის ყდა. მეორე ნომერში მოთავსებულია **სანდრო ეულის, ნ. ზომლეთელის,** რუს პროლეტარულ პოეტის **ვლ. ალექსანდროვსკის** და გ. მირინაშვილის ლექსები. საყურადღებოა ამათში მხოლოდ **„ქალაქის დილა“** და **„ცეცხლის რკალებში“.**

მშვენიერია ნახ. **აპ. ქუთათელაძის** „რევოლიუციონერ გურიის ცხოვრებიდან“. ამავე ნომერში მოთავსებულია ნაწყვეტი **ი. გედევანიშვილის** მოთხრობიდან „წარსული და აწმყო“.

ჯერ კიდევ ადრეა ეურნალ „დროშა“-ს ავკარგიანობაზე ლაპარაკი. ჩვენ ვუსურვებთ მის ხელმძღვანელებს მეტ ბეჯითობას, რომ ეურნალს მიეცეს გარკვეული ლიტერატურულ-მხატვრული მიმართულების სახე, ურომლისოდ წარმოუდგენელია მისი არსებობის გამართლება. **ი. მ.**

„ჩირაღდანი“-ს შემდეგი ნომერი გამოვა 12 გვერდ თ.

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.

P-7604